სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 753

დამატების № 132

კვირა, 18 ნოემბერი 1912 წ.

სასწაული

მე რომ ღამე მიყვარს, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ამბობენ, ჭლექით ავადმყოფთ დღე უფრო უყვართ, ისინი მზეს შეჰხარიანო. მე კი ღამე მიყვარს და ვარსკვლავთ შევხარი, რადგანაც მზის ჩასვლიდან ამოსვლამდის მოველი სასწაულს.

ექიმმა კი მითხრა, ჭლექი გჭირსო და ღამით სახლიდან არ გამოხვიდეო... ბევრი ნაცნობიც ფიქრობს, რომ ჭლექიანი ვარ. ალბად, მათი აზრით მე ბევრი, ბევრი გავძლო ორს ან სამს წელს, შეიძლება ერთს თვეშიც მოვკვდე!

„ჰმ!.. სასაცილოა!!“

რა თქმა უნდა, პირადად მე ეს არა მჯერა. დარწმუნებული ვარ, რომ ჭლექი არ მჭირს... —მე სულ ცხოვრებაზე ვფიქრობ. ცხოვრება კი, ჩემისრწმენით, ისეთი ლამაზი, წარმტაცი, და მომხიბლავია, რომ... დიდ სისულელედ მიმაჩნია სიკვდილზე ფიქრი!!..

სწორედ დიდი უვიცი უნდა იყოს ჩემი ექიმი! მას ჰგონია, თუ მამაჩემი ჭლექმა მოჰკლა, ჩემი ძმაც ამ სენმა იმსხვერპლა და ჩემი ტ ცუდათ გრძნობს თავს, მეც უსათუოდ ჭლექიანი უნდა ვიყო!! ვსთქვათ, ფილტვებიც ცოტა დაშავებული მაქვს... მერე რა ვუყოთ?? განა შეიძლება, რომ დღეს... დიაღ, დღეს—ფილტვები ცოტა დაშავებული არა ჰქონდეს კაცს?

ჭეშმარიტად, ექიმებისთანა ცალმხრივი ხალხი არ მინახავს!

წარმოიდგინეთ, გადაჭრით მითხრა:

— საღამოობით ქალაქს გარედ ფეხით ნუ დადიხართ ტ იმ თქვენს მინდორზე გვიანობამდის ნუ სეირნობთო!

მას ვერ წარმოუდგენია, რომ მე არ შემიძლიან ახლა არ ვისეირნო ჩემს საყვარელს ფერდობზე! არ შემიძლიან, ამ ფერდობზე ამ ღამეს, ან ხვალ ღამეს, სასწაული მოხდება! დიაღ, სასწაული!! ვიცი, ექიმი პოზიტივისტია, მატერიალისტი. გარეშე მეცნიერებისა მას არაფერი სწამს. რომ ვსთქვათ, გარეშე „მედიცინასა“ არაფერი სწამს... ჩემი ექიმის გონება ვერასოდეს ვეო მისწვდება იმ უბრალო ჭეშმარიტებას, რომ ცხოვრება არასოდესარ დაეტევა მეცნიერების ფარგლებში!.. მით უმეტეს, მედიცინის ფარგლებში!... ფუი... მედიცინას!!

ჩემი ექიმი დაღუპულ კაცად მიმაჩნია!

რასაკვირველია იგი თავის დღეში არ დამეთანხმება, რომ ჩემს ფერდობზე, სადაც მე ვსეირნობ—და ვისეირნებ კიდეცა ღამ-ღამობით,—სასწაული მოხდება!

სასწაულს როცა ვამბობ, სრულიად არ ვგულისხმობ ისეთს რასმე, რაც ჩემი ექიმისთანა ხალხს ზებუნებრივი მოვლენის სახელით მოუნათლავს!.. სულაც არა! მე ვამბობ, ყოველი მოვლენა ბუნებრივია, განურჩევლად იმისა სწვდება მას ადამიანის გონება, თუ ვერა, აღემატება იგი ადამიანის გონების შემეცნებას, თუ არა! მაგალათად, ათას, თუ გნებავთ ათი ათას წლის წინად სადღაც რაღაცა ჩაისახა.—ვსთქვათ ორმა მარადისობამ—ცხოვრებამ და სიკვდილმა—ერთმანეთის შეხების დროს ისეთი რამ წარმოშვეს, რაც ცალ-ცალკეთ არც ერთშია და არც მეორეში და რაც, ვსთქვათ, მესამე მარადისობის მატარებელია!!

რა თქმა უნდა ბუნებრივია ამ მარადისობის მოვლინებაც, როგორც სიკვდილიც და ცხოვრებაც... რა ვუყოთ, თუ ჩვენი გონება ვერა ჰხსნის ამას და სასწაულსაც კი დაგვარქმევინებს მისთვის!!.. განა სიტყვამ „სასწაული. უნდა შეგვაშინოს!? სასწაულსაც უნდა მიეცეს ადგილი სადმე! თუ გნებავთ დროსა და სივრცის საზღვრების იქით!

*

სასწაულს ველი. ეს ხუთი დღეა, რაც მის მოახლოვებას ვგრძნობ... გული მალულად მიხარის.

როცა საღამოს სიო დაჰბერავს, ქალაქიდან ლტოლვილი, ჩემ ყვავილოვანს ფერდობს მივაშურებ... მის დანახვაზე მთელი არსება სიხარულით აღმევსება.

დაურღვეველი მყუდროება სუფევს ჩემს გარშემო. ხოლო ეს მყუდროება სიჩუმე როდია!?—

მუსიკა მესმის, რომელსაც არავინ უკრავს! მუსიკა, რომლის დასაწყისიც არავის სმენია და ვერც დასასრულს მოისმენს ვინმე! ამ მუსიკის შინაარს მე ვერ ვწვდები... მხოლოდ ვგრძნობ მას! ვგრძნობ ღრმად... ნაზად... ფაქიზად.

იქაც კი ვგულისხმობ ჰანგსა, საიდანაც ყურებს არა ესმის რა.

მე ამ ჰანგსაცა ვგრძნობ!..

ის ნიავი როდია, რომ დაფარფატებს... ფოთოლი კი არ ირხევა და არც ბალახია რომ ბიბინებს!

არც წეროა, რომ ბზუის! არც ბეპელაა ფრთების შლით რომ ჰაერს აღღვევს და ყვავილიდან ყვავილზე გადადის!

იქნება, ეს ერთარსებიანი დაუსაბამო ცხოვრებაა, მრავლად განსახიერებული!

ან იქნება უსივრცო დროებათა მეტყველებაა, უძირ-უნაპირო ფსკერიდან მომავალი!?

თუ არც ერთია ტ არც მეორე!..

იქნებ, სულ სხვა დასაბამია... არც ცხოვრება და არც მისი მოქიშპე...

არა!.. არ ვიცი!.. არა ვიცი რა გარდა იმისა, რომ მე ვხარობ!.. ვხარობ, რადგანაც მონაწილე და მსმენელიც ვარ ამ მეტყველებისა!.. ვხარობ, რადგანაც მისით იმასა ვგრძნობ, რაც ასე სწყურიან ჩემს სულს, რასაც ასე მოითხოვს ჩემი არსება!!

*

ჩემს მაღლობზე ავდივარ. ნაცნობ ხის ძირში ვჯდები... დღე სადაც არის სულ დახუჭავს თვალებს...

ორი შეყვითლებული ფოთოლი ჩამოვარდა ხიდან და ჩემს ახლო დაეცა.

ერთს ვიღებ ხელში და თითეულს მის ძარღვს ვათვალიერებ...

რა ფაქიზი ორგანიზაციაა...

მეორეს რომელიღაც ზეიდან დაშვებული ჩიტი წაატანს ნისკარტს და გაფრინდება.

მაშინ თავს მაღლა ავწევ, და სული ჩემი ქებათა-ქებას იტყვის!..

ხოლო არავის და არაფერს არ ვადიდებ!.. არავის და

გალკანეთის ომის გამო.



გრაფი ბერტჰოლდი
ავსტრია-ჰუნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერს აკუთვნებს სული ჩემი ქებათა-ქებას!—იგი მასშია, როგორც ჩემს გარშემო მუსიკა...

ვნეტარობ!..

ვგრძნობ რაღაცა მიახლოვდება, რაღაც დიადი, უცნაური და ვერც მომიახლოვებია!!

*

მზე ჩასულია, მაგრამ რამდენიმე სხივი კიდევ შერჩენია ცის დასავლეთის კიდურს.

ჩემი ფერდობი თალხის ხავერდით იმოსება...

მახლობელი ტყე სალამურს უკრავს

ცის კიდურზე სინათლის უკანასკნელი ციალი მიილევა.

მის პირდაპირ, აღმოსავლეთით, ობოლი ვარსკვლავი აენთება.

მისი შუქი თვალებში მწვდება.

თითქოს ვხედავ, რომ ჩემი თვალები ვარსკვლავის დანახვაზე შუქთა ფრქვევით კრთიან, იღიმიან.

მარცხენა ლოყა მენთება. ტუჩები მიალისფერდება. მაჯა მომეტებულად მიცემს. მესმის ჩემი მაჯის ცემა...

აგზნებულ თვალებს ცის ლაჟვარდის ერთს წერტილს მივაპყრობ. მაშინ იმედი ფრთას გამკრავს, და გულში ვამბობ:

„ჩემი ვარსკვლავი!“

ლაჟვარდის წერტილიც გაიელვებს... დიადი რწმენა აღმიტაცებს.—იმ წერტილზე, რომელსაც მე ვეძებერ, საიდღაც მოსული ვარსკვლავი დაესვენება.

— ჩემი ვარსკვლავი! —ხმა მაღლა ვამბობ და ვეგებები მას. ვარსკვლავი მხოლოდ რამდენიმეჯერ დაიკიმკიმებს და... მე ვამბობ: „კვლავ მიიმალა“!!

— სად არის ჩემი ვარსკვლავი?!

ცის განჭვრეტა მინდა!.. ცა—ეს ხომ ჩვენი სივრცის თვალმისატანი უკანასკნელი ხაზია! . მე მსურს გადავლახო ეს ხაზი!—მას იქით არის ჩემი ვარსკვლავი! იქით მხარეს მიიმალა იგი!.. იქით მხარესაა სასწაულიც!

„სუ“!—მეუბნება შაშპარი.

„ჩუმად“!—მეძახის ტუხტი!

„შენი ვარსკვლავი“?—შეუდარებელს ალის ფერს ტუჩებს მომაპყრობს მიხაკი!—

ჩემი ფერდობის ყვავილებიც მოლოდინში არიან! ჩემთან არიან!

ნელს ხმას, ნაზს ხმას დაუკრავს ტყე სალამურს.

ჩემს თავზე ჰაერში შეჩერებული არსება რაღაც ნაირად შეიკუმშება,

შეიკვრება და შორეულს უფსკრულში გადაეშვება...

ფარდა ჩამომეცლება...

გალკანეთის ომის გამო.

რაზმელების ტყვია-წამლისა და იარაღის საიდუმლო საწყობი.



თავგანწირული ბრძოლა ოსმალებისა ბულგარებთან ლულე-ბურგასთან მდ. ერგენეს პირად.

ბულგარეთის ჯარის მთავარი საბჭედრო შტაბი.

შემდეგს მის გამოჩენას ვუცდი. მაშინ იგი ხანგრძლივად იციმციმებს... ხანგრძლივად... იქნება, დაუსრულებლივ!

[redacted]მე მწამს ჩემი ვარსკვლავი!!

*

ჩემი ფერდოები იდუმალებამ მოიცა... მთელი არე რაღაცამ შეაქანა!

თითქო სხვა ქვეყანაში გადავვარდით!!—ეს ღამემ თავისი ჯადო-ფრთა გაშალა და მთელის ტანით ჩამოაწვა დედამიწას...

რა გრძელია ღამე!.. ჩვენი შავი ღამე!—შეხეთ, ტკბილად ამუსიკებული მიდამო სულ სხვა ჰანგზე ააჟღერა!

მთაც კი გამოაღვიძა... ტყის ჯარები გააღო! ათასად შემეხო მეც... ათი ათასად ყურში ჩამიჟღარუნა! საიდღაც რაღაც არსება ამოფრინდა. მძლავრად შემოჰკრა ფრთა ფრთას. მაღლა აქანდა. მერე ფრთები ფართოდ გაშალა და ნელა ჩამოეშვა ძირს.—იგი ჩემგან ახლო ჰაერში გაიშხლართა და იქვე შესდგა, შეჩერდა.

მთების გულ-მკერდზე მიძინებული დევები შეინძრნენ. საუკუნო ძილიდან აღსდგნენ და მძიმე ამოოხვრით ფერდობისკენ დაეშვნენ. ტყის გალავნის უკანასკნელმა კარმაც ჩაიჩხარუნა... ტყის წიაღმა გრილად და ღრმად ამოისუნთქა.

ფერდობი შეშინდა... ვარდ-ყვავილებმა ფარები მოიმარჯვეს. მიდამო ჟრუანტელმა აიტანა...

სასწაულის წინამორბედმა სიომ დაჰბერა...

*

— ჩემი ვარსკვლავი!!.. ვარსკვლავი ჩემი!—აგზნებული ვამბბობ მე.

ექიმი შემოდის. იგი შეშინებულია.

ვიცი: არც ერთი კუნთი, არც ერთი ძარღვი, არც ერთი ხაზი არ ინძრევა ჩემს პირისახეზე.

ვატყობ, რომ ექიმი ვერ ითმენს, ვერ იტანს ჩემს გამომეტყველებას.

ჩემს გამომეტყველებაში არც სიცოცხლეა, არც სიკვდილი! სხვას რასმე კი ექიმი ვერ ამჩნევს.

იგი უხმოდ მოიახლოვდება.

— სასწაული და არა თქვენ!

ეუბნება მას მთელი ჩემი არსება უმშვიდესად თვით სიმშვიდისა.

ექიმი თავს ჩაჰღუნავს.

ვიცი,—მისი თვალები ბრიყვულად მიმოიხედებიან.

ჩვენს შორის სამუდამო სიჩუმე ჩამოვარდება...

ლეო ქიაჩელი.

ნაწრთობი

(ამბავი ს. მ. ჩევკინისა).

ჩემმა ამხანაგმა, ვალენტინ ხეტაპუროვმა, რომელსაცა ვთხოვე ჩემთვის მათემატიკაში კარგი და იაფი რეპეტიტორი ეჩვენებინა, გადაჭრით მითხრა:

— რაბინოვიჩთან წადი, მეტი ლაპარაკი არ უნდა. უკეთეს ვერ იშოვნით. იმისი მისამართი დასწერე...

მარგალიტებად იმსხვრევა ზეცა და ძირს ცვივა.

სივრცე იშლება... დრო შეჩერდება...

სიცოცხლე და სიკვდილი ერთდებიან... ერიდებიან და მით ისპობიან... ისპობიან ჩემში...

*

.... დღეა... არ მიყვარს დღე. მზე და სასწაული ჩემს წარმოდგენაში არა თავსდება...

სახლში ვარ, ლოგინზე ვწევარ.

ნათლად ვხედავ ჩემს პირისახეს... მკრთალი ლიმილი დაჰნათის სახეზე. სახე ჩემი მშვიდია. შერიგებული.—

სასწაული მწამს.

— მოიცა, ვინ არის ეგ შენი რაბინოვიჩი? ეტყობა ურია იქნება?!

— შენ კარგი რეპეტიტორი არ გინდა? ვალია ცივად დამეკითხა, „კარგი“ ხაზ გასმით წარმოსთქვა და მეტი არა უთქვამსრა.

რაბინოვიჩთან მე დავიგვიანე და მეორე დღეს საღამოხანს მივედი. საღამო ჟამსაც კი არა, სრულიად საღამოთი, რადგანაც იმ სახლის ალაყაფის კარებთან, საითაც მე უნდა გამევლო, ამხანაგი შემხვდა და საათ-ნახევარს რაღაცეებზე ვილაყბეთ.

რაბინოვიჩი სარდაფის მსგავსს სადგომში სცხოვრობდა. კარები ახალგაზდა, ცქრიალა, შავგვრემანმა ურიის ქალმა გამიღო.

— ჩემ ძმასთან მოხვედით? აქეთ მობძანდით. ის ემ საათში საქმეზეა, მაგრამ არაუშავსრა,—თავაზიანად მელაპარაკებოდა იგი, როდესაც მე სიფრთხილით ხელებს კედლებს ვუცაცუნებდი.—უკაცრავად გეთაყვა, რომ ლამფა არ არის. ამ დროს ჩვენსა აღარავინ მოდის ხოლმე. მაინც ეხლავ მოვიტანო.

— ეგ არაფერია, არაფერი... გეთაყვა ნუ შესწუხდებით, გასატეხი ხომ არა სდგასრა... მხოლოდ პალტო სად დავკიდო?

რაბინოვიჩის დამ ამ ბნელ მისალებ ოთახიდან პატარა სადა სასტუმროში მიმიყვანა, რომელიც უწინდებურ მრგვალ, შემთხვევით ნაყიდ, მაგიდით იყო დამშვენებული. მაგიდაზე ლამფა ენთო და მის გარშემო ღია წერილებითა ტ ფოტოგრაფიულის სურათებით სავსე ალბომები მოსჩანდნენ. მე მარტოდ დავრჩი და ვათვალიერებდი მოლოცვებს ოდესიდან, ხარკოვიდან, მოსკოვიდან, სურათებს ბებელისას, მარქსისას და სს... მარცხენა კარებს იქით თავშეკავებული სიცილი და ქალების ხმა მოისმოდა, მარჯვენა კარებს იქიდან კი ვიღაც კაცის ხმა, რომელიც მკაფიოდ და მტკიცედ ლაპარაკობდა.

—... მაშასადამე არ შეიძლება არ ვაღვიაროთ, რომ ევროპის ცივილიზაციას მოძრაობა გრაფ იულიანის, ჩვენის აზრით უზნეობა და დასაგმობმა, ქცევამ მი'ცა. სიმართლე და სიმტყუნე, კეთილი და ბოროტი ისტორიაში ისია ერთმანეთზე გადახლართული, რომ ერთი მეორისაგან გამოცალკევება და დანიშნულ დროისათვის თვითეულ მათგანის გარკვევით აღნუსხვა შეუძლებელია. ყოველს შემთხვევაში ეს ჩემი კერძო აზრია, და მე ამას თქვენ იმისათვის გიმხელთ, რომ იგი თქვენ აწინდელს წუთს საგსებით გაგინათებთ.

ეს ხმა უცბად გაჩუმდა, ათის წამის შემდეგ მარჯვენა კარი გაიღო, და იქიდან გამოიხედა გამხდარმა, საკმაოდ ლამაზმა მამაკაცის სახემ, რომელიც გრძელის შავის ხუჭუჭა თმითა და შავის წვერ-ულვაშით იყო შემოგრაგნილი; მისმა ცოცხალმა და შორს მჭვრეტელმა, ოქროს სათვალეებით დაფარულმა, თვალებმა საჩქაროდ დამათვალიერეს და შემდეგ დინჯად მკითხა.

— თქვენ შეგიძლიანთ ოცდა სამი წამი მოითმინოთ?

თვეში ერთი თუმანი და კვირაში სამ საათიანი გაკვეთილი ჩემთვის ეს ძვირი არ იყო. პირველად რაბინოვიჩი კვირაში ოთხ გაკვეთილსა და თვეში თხუთმეტ მანეთზე იდგა, მაგრამ მერე დამითმო.

— მართლაც, კვირაში სამ გაკვეთილზე ნაკლები—უაზროობაა,—გამოთხოვებისას მეუბნებოდა იგი,—მეტი წილი შინ გაკვეთილების ძლევა მომიხდება, ნამეტანი გაკვეთილების მიცემა სახლში კი, ჩემის აზრით, თავის მოტყუება და თაღლითობაა.

პირველმავე გაკვეთილმა გამოარკვია, რომ მე რეპეტიტორი კი არა, მასწავლებელი მინდოდა. მათემატიკაში ისე სუსტი აღმოვჩნდი, რომ მე შევყოყმანდი. მე შიში გამოვთქვი, ვაი თუ სამი თვის განმავლობაში საკმაოდ ვერ მოვემზადო მეთქი.

— არა უშავსრა,—რაბინოვიჩმა ხელი ბეჯითად ჩაიქნია: —გეტყობათ თქვენ დიდი სურვილი გაქვთ მიზანს მიაღწიოთ, და, მგონი, შეგიძლიანთ ლოღიკურად იაზროვნოთ. თქვენის თავის ორთქლმავალი სამყოფ წყალ-სითბოთი საუკეთესოდ არის მოწყობილ - შემზადებული. რატომ აღარ უნდა იმგზავროს, როდესაც ტეხნიკურად შესაძლებელია.

იმ დღემდის,—რამდენადაც მე მახსოვს ყმაწვილობიდანვე, მე მათემატიკისა მეშინოდა ტ არც მიყვარდა. რაღაც მშრალ, ცივ, რთულ, გაუგებრად მეჩვენებოდა და უზომო-ძნელ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე.

— მათემატიკა, - დაიწყო პირველი გაკვეთილი რაბინოვიჩმა: —ეს ცხოვრების ერთი უნაზესი საღებავთაგანია. ეს ერთად-ერთია ქვეყანაზე მტკიცე, სწორი, უცვლელი. ყოველივე გარდამავალია, ყველა იცვლება, მხოლოდ მათემატიკური კანონები არიან სამუდამო ჯაბუკურნი, საუკუნოდ მშვენიერნი. მათემატიკა,—ეს ციური მზღვარია, სადაც ბოლო ეღება ყოველდღიურ უაზრო ფუსფუსს, უთმობს რა ადგილს გონების სამარადისო გამოკრთობას. არა არის რა მასში საძნელო, გაუგებარი, დაუმთავრებელი, ყოველივე სადა, ნათელი და გასაგებია; ყოველივე ჰარმონიული და მწყობრია და რადგანაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ნახტომებითა და მიხვეულ-მოხვეულად აზროვნებას ვეჩვევით, თვალს უმეტესად ქვეყნიურ ჭუჭყს ვუშტერებთ, სინამ ცის სილურჯეს, ამიტომ ნათელი, ცივი თანდათანობა თვალსა გვჭრის, ლოღიკის მკაცრი სიმარტივე კი მშრალ და უცხოდ გვეჩვენება.

გალკანეთის ომის გამო.

მაკედონელ რაზმელების გაცხარებული სროლა.

მაკედონელ რაზმელების ერთი ჯგუფი.

მაკედონელი რაზმელები სროლაში ვარჯიშობენ

რაბინოვიჩის ხმას მტკიცე კილო ჰქონდა. მასში დამრიგებელი ნოტი ერია: ეტყობოდა ეს არა ერთხელ გაემეორებინა და ეხლა ახალ შეგირდზე, ნებსით თუ უნებლიედ, შთაბეჭდილების მოხდენა სურდა. მე ეს მშვენივრად მესმოდა, და, ამისდამიუხედავად, პირველის გაკვეთილიდან, რომ ვბრუნდებოდი, ნათლადა ვგრძნობდი, კურსს გავიდოდი და რომ იმ „ციურ მზღვარის, სადაც ბოლო ეღება ყოველდღიურ უაზრო ფუსფუსს“ გადალახვა საყურადღებო საქმე იქნებოდა...

* * *

ამ კაცმა დიდისხნის და მედგარის შრომით თავისში დიდი პედაგოგიური ნიჭი განივითარა. სახელდობრ პედაგოგიური. რასაც კი რაბინოვიჩი ამბობდა გონება მახვილს, ბრწყინვალეს ან ახალს, თითქმის ყველა ამას, კვლევა-ძიების შემდეგ, ემჩნეოდა შეძენილი იყო, მაგრამ ამ შენაძენშიაც განსაკვიფრებელ, დაუღალავ, ენერგიის აღურაცხელ მუშაობას იგრძნობდით.

— თქვენ რომელ უნივერსიტეტში იყავით?—ერთხელ გაკვეთილის შემდეგ უცბადა ვკითხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯერ არც ერთში.

მე გაკვირვებულმა თვალები ვაჭყიტე, მაგრამ რადგანაც ორი საათი უკვე შესრულებულიყო—ბოლო ჩემის გაკვეთილისა და დასაწყისი სხვისა, ამიტომ რაბინოვიჩმა ამხანაგურად, ნაზად, მაინც საკმაოდ საგრძნობლად წამავლო მკლავზე ხელი და „კლასიდან“ მისაღებ ოთახში გამიყვანა:

— დრო არ არის, დრო. როდისმე თავისუფალ დროს ამაზედაც ვიმასლაათოთ.

რაბინოვიჩი თავის დროს აფასებდა. მე ვხედავდი, რომ იმან ერთი წამიც არ მაჩუქა, გადავწყვიტე ჩემი დრო შემეწირნა: ხანდისხან დაღლილობას ვმიზეზობდი და ხუთი, ათი წამით ადრე ვათავებდი მეცადინეობას. პირველი ცდა უშედეგო გამოდგა.

— რატო არ შეხვალთ უნივერსიტეტში?—დაუდევრადა ვკითხე, ვხედავდი რა, რომ გაკვეთილის ბოლომდის ხუთი წამიღა იყო დარჩენილი.

— თქვენ ზანტად ჰმუშაობთ და მალე იღლებით,—მომიგო რაბინოვიჩმა,—ეს კარგი არ არის. ამის მიზეზი გამოიკვლიეთ.

— კარგი, კარგი. მაგრამ მითხარით უნივერსიტეტში რატო არ შესდიხართ?

რაბინოვიჩი ერთს წუთს სდუმდა, თითქმის ათრთოლებულის ხელით მიიწოდა „რეჩი“ და გაზეთს ხარბად გადათვალიერება დაუწყო, მე კი არაფერი მიპასუხა.

— აჰ, არა—გაჯავრებული ვფიქრობდი, ქალაქის ხეივანზე, რომ მივდიოდი.—ეგ კარგი არ არის, მოწყალეო ხელმწიფევ! ჩემი ხუთი წამი ამისათვის კი არ დაგითმეთ, რომ ჩემს ანგარიშში შენ კითხვით დამტკბარიყავი...

— რამოდენის წლისა ხართ?—რამდენიმე დღის შემდეგ ვკითხე.

— ოცდა თორმეტისა. მაშასადამე გუშინ თქვენ არც ერთი ამოცანა არ გაგიკეთებიათ?

აპრილში მეცადინეობა საღამოზე გადავიტანე, ჩემი გაკვეთილი ახალის წესით ცხრაზე თავდებოდა და ყოველთვის ჩემს შემდეგ გიმნაზისტკა ქალი შემოვიდოდა ხოლმე. შემდეგ გაკვეთილზე, რომ მივედი ვკითხე:

— თქვენ ბევრსა მუშაობთ!

— არა უშავსრა,—რაბინოვიჩმა რაღაც ცხრილს გადაავლო თვალი:—ყველაზე თავისუფალი დღე კვირა მაქვს: სულ ექვსი გაკვეთილი. სამშაბათი კი—საომარი დღეა: ან თხუთმეტი, ან თექვსმეტი გაკვეთილი. სამშაბათობით და ხუთშაბათობით ყოველთვის ვიღლები. ესე, გეთაყვა, ძალა დაიტანეთ აი ეს ხუთი ამოცანა გააკეთეთ... უსათუოდ...

***

დადგა მაისი. ერთ თბილ საღამოთი ეგზამენების ჩასაბარებლად ტფილისში მივემგზავრებოდი. რაბინოვიჩი გამოსამშვიდებლად ვოგზალზე მოვიდა.

ჩემი ამხანაგები, ვასო, პეტო, ალექსი, ვალია და სიმონ ნიკოლოზის ძე გაყრის ნაღველს არყითა და ლუდით იქავრებდნენ, უკან არც მე ვრჩებოდი, ხანდაზმით კი რაბინოვიჩს ველაპარაკებოდი. დაბრუნებას აღარ ვაპირებდი და ეს გარემოება ვასოს და პეტოს ისე ამწუხარებდა, რომ ისინი არაყს არკი ჰსვამდნენ ჰყლურწავდნენ. მოსამსახურე მხოლოდ თავს აქნევდა სასმელების მოტანის დროს, რაბინოვიჩი მსმელი არ გამოდგა: მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი ჭიქა ლუდი ძლივს გამოწურა, არაყზე კი მთლად უარი სთქვა.

— ეი, შე საზიზღარო „ინოროდეცო“,—უჩუმრა ცხარობდა ვასო: ოპოზიციას უჭერს მხარს. ფინანსიური კრიზისია და არაყს კი არა სვამს.

მე რაბინოვიჩთან მივედი და უჩუმრა ვკითხე:

— უნივერსიტეტში მაინც როდის შეხვალთ?

რაბინოვიჩმა მხრები შეიშმუშნა.

— ჩვენები ჰნახე? ოთხი დედათა სქესისა, ერთი წყვილიც მშობლები... სარა, ანნა, ლიზა და სონია. ჯერ ერთი ისინი ურიის ქალები არიან, მეორეც სულს იქით არა გააჩნიათრა. ფეხზე დაყენება უნდათ, რომ ქუჩაში არ გაირიყნენ. აი სონიას კურსებამდის მივაღწევინებ, მაშინ ჩემს თავზედაც ვიზრუნებ.

— მაგათ თქვენვე მიაჩანჩალებთ?

— მაშ... გიმნაზიაში წელიწადში თორმეტი თუმანი უნდა, ფორმასა და ათასს სხვა და სხვა რამეს კი შვიდასიც არ ეყოფათ... ძნელია, შეუძლებელიც. ესე კი,—მიიღე ეგზამენისა ოთხი თუმანი და მოწმობა მიბოძე.

— სამინისტროს ძირს უთხრით.

— მერე, რა,—გაიცინა იმან,—შენი პერანგი შენს ტანზე ახლოა.

სემიონ ნიკოლოზის ძემ პატარა მგრძნობიარე სადღეგრძელოების თქმა დაიწყო.

— თქვენ პუბლიცისტიკას რატო ხელს არ მიჰყოფთ?—კვლავ შევეკითხე—პედაგოგიურს ლიტერატურაში დასტურ თქვენ თვალსაჩინო ადგილის დაჭერა შეგეძლოთ.

რაბინოვიჩმა ნაღვლიანის ღიმილით შემომხედა.

— რატო თქვენ ერთ დიდ მოთხრობას ან რომანს არ დასწერთ, და, რაღაც ფელეტონებით ჰკმაყოფილდებით თქვენს „ფურცელში“?

ორთავეს გაგვეცინა. რაბინოვიჩმა ოდნავ ამოიოხრა.

— ჩვენ წვრილმანები, წვრილმანები გვღუპავენ ხვალინდელი ლუკმა პური; ჩვენ იმას ვღეჭავთ, ის კი ჩვენ, უჩინრადა გვსუტავს.

მეორე ზარმა ვაგონში მიმიწვია. შესავალ კარებთან მდგომმა ზორბა ჭაღარა მორიგემ მაღალის და ძლიერის ბანით შემოსძახა.

— მეორე ზარი... კავკავი... ბაქო!..

მეგობრები ჭირში იცნობებიან. პეტო გრძნობდა, რომ იქ ბალაჯარას იქით ათასი უბედურება მოელოდა. ის ითხოვდა, რომ ამხანაგებს მისთვის ტფილისამდის და უკან ბილეთი ეყიდნათ, ერთი თუმანიც საგზაოდ მიეცათ. უკანასკნელს წამს ბაქანზე, მეგობრულის ზრუნვით აღტყინებული, რაბინოვიჩს მიადგა.

— კარგად მოამზადეთ? ჰა? კეთილ სინდისიერად?—მკაცრად ეკითხებოდა.

— ვფიქრობ—ცივად, წყნარად და ზრდილობიანად უპასუხა რაბინოვიჩმა.

წუთები ხანდისხან საათებად გვეჩვენება, ხანდისხან საათები საუკუნოდ, მაგრამ წლები, ეჰ, წლები ყოველთვის შეუმჩნევლად გარბიან.

დედა-მიწა თეთრის სუდარით ხუთჯერ შეიმოსა და კვალად მწვანდებოდა და აი პეტერბურგში, პასაჟში, მაღაზიის წინ... მაგრამ ეს საყურადღებო არ არის,—ერთის სიტყვით პასაჟში ჩვენ ერთმანეთს შევხვდით.

ეს ისე მოულოდნელად იყო, რომ მე შევკივლე, და მან ამის გამო უეცრად ჩემსკენ მოიხედა... ისევ ისეთი გამხდარი პირისახე; ისევ ის მოელვარე, ცოცხალი თვალები, ოქროს სათვალეებით დაფარული; ისევ წვერი; ისევ შავი, ხუჭუჭი თმა, ოდნავ ჭაღარა შერთული, ნამეტან საფეთქლებთან, და ზედ—გახუნებული სტუდენტური ქუდი. პალტო, როგორც იტყვიან ხოლმე „ქარისაგან გაცრეცილი“.

— ეტყობა ყველანი ფეხზე დაგიყენებია?—ვკითხე მე.

— ყველანი, ყველანი.

— მაშ ესე შორს რად წამოსულხართ? თქვენს მახლობელ ოდესაში არ გერჩივნათ?

რაბინოვიჩი შეიჭმუხვნა და ხელი გაიქნია.

— რასაკვირველია ახლოა და უკეთესიც... მხოლოდ იქ მე დრო არა მაქვს ვისწავლო.

— კიდევ დრო არა მაქვს. ეს რასა ნიშნავს?

— იმასა ნიშნავს, რომ მე უკვე ორმოც წელს მიხწეული ვარ. უნდა ვისწავლო აჩქარებით და ნამდვილ მასწავლებლებთან. ყოველი წუთი ძვირფასია. იქ კი თქვენც იცით არა ჩქარობენ. უმეტეს დროს პოლიტიკაში არიან გართულნი, სანამ სწავლობენ და ასწავლიან. რასაკვირველია, ყოველი მოქალაქე მოვალეა პოლიტიკას მისდიოს, მხოლოდ მათ დრო აქვსთ, მე კი არა.

— აქაც მისდევენ პოლიტიკას, მაინც მეტ წილს სწავლობენ. საზოგადოდ კი შეიძლება სწავლა და აჩქარებითაც.

— პეტერბურგში ძვირია ცხოვრება?

— საშინლად ძვირი. სულ რაღაც ორი უხეირო გაკვეთილი მაქვს. მაგრამ ეგ არაფერია. ყველაზე ძნელი შემდეგ იქნება. რამდენიც გენებოს სამუშაო მოიტა, არ მეშინიან. გამოჭახრაკებული ვარ. ერთი გავათავო უნივერსიტეტი, მაშინ კი ვიმუშავებთ... მა-შინ ვი-მუ-შავებთ... მშვიდობით, მშვიდობით. არა მცალიან.

— საით მიეშურებით?

— აი აქ ახლო პატარა კრებაა. კორექტურული სამუშაოა, სახლშიაც ხუთი თაბახი სათარგმნი, თქვენი მისამართი მომეცი, მოცლილ დროს შემოვირბენ.

— მშვიდობით, გეტყობათ მუშაობას არ გადაჩვეულხართ? რაბინოვიჩმა გაიცინა.

— ეს რა არის! გეუბნებით გავათავებ უნივერსიტეტს, მაშინ ნამდვილად ვიმუშავებ! აქამდის სამუშაოს მხოლოდ ვეჩვეოდი. ყველაზე გემრიელი წინა ძევს. ცხოვრების დაბრკოლებებთან შებრძოლებისა არ მეშინიან. ნაწრთობ-გამოჭახრაკებული ვარ...

საჩქაროდ ხელი ჩამოვართვა, საათი გასინჯა და ტრამვაის ვაგონს მიაშურა.

ე. მ—შვილი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.